

გიული შაბაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მეორე ენის წერითი კომპონენტის სწავლების სტრატეგიები ქართული ენის მონაცემების მიხედვით

აბსტრაქტი

წერითი კომპონენტის სწავლა/სწავლება მეორე ენის დაუფლებისა და სწავლების პროცესში ერთ-ერთი რთულად გადასაჭრელი ამოცანაა. ცნობილია, რომ წერითი კომპონენტის სწავლა/სწავლებისას ერთდროულად მიმდინარებს როგორც კოგნიტური, ისე მეტაკოგნიტური პროცესების გააქტიურება, რაც გულისხმობს შემსწავლელის როგორც ლინგვისტური კომპეტენციების ამაღლებას, ისე სოციოკულტურული, დისკურსული და კომუნიკაციური კომპეტენციების განვითარებას. ამდენად წერითი კომპონენტის სწავლება მრავალპლანიანი ქმედებაა, რაც მასწავლებლისაგან მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებას, საგაკვეთილო პროცესის სწორად დაგეგმვას, აგრეთვე, ადეკვატური და ეფექტური სტრატეგიების გამოყენებას მოითხოვს. ნაშრომის მიზანია წერითი კომპონენტის სწავლების არსის ჩვენება, სხვადასხვა ძირითადი და დამხმარე აქტივობების განხილვა, მათი ფუნქციისა და შედეგების წარმოდგენა.

საკვანძო სიტყვები: მეორე ენის სწავლება; წერის სტრატეგიები; საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა

საკითხის განსაღვრა და აქტუალობა

წერითი კომპონენტის სწავლა / სწავლება მეორე ენის დაუფლებისა და სწავლების პროცესში ერთ-ერთი რთულად გადასაჭრელი ამოცანაა. ცნობილია, რომ წერითი კომპონენტის სწავლა/სწავლებისას ერთდროულად მიმდინარებს როგორც კოგნიტური, ისე მეტაკოგნიტური

პროცესების გააქტიურება, რაც გულისხმობს შემსწავლელის როგორც ლინგვისტური კომპეტენციების ამაღლებას, ისე სოციოკულტურული, დისკურსული და კომუნიკაციური კომპეტენციების განვითარებას. ამდენად წერითი კომპონენტის სწავლება მრავალპლანიანი ქმედებაა, რაც მასწავლებლისაგან მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებას,

საგაკვეთილო პროცესის სწორად დაგეგმვას, აგრეთვე, ადეკვატური და ეფექტური სტრატეგიების გამოყენებას მოითხოვს. ნაშრომის მიზანია წერითი კომპონენტის სწავლების არსის ჩვენება, სხვადასხვა ძირითადი და დამხმარე აქტივობების განხილვა, მათი ფუნქციისა და შედეგების წარმოდგენა.

დიდი ხნის განმავლობაში სტრუქტურული მიდგომის საფუძველზე გრამატიკული კომპეტენციის მიზანმიმართული ამაღლება მოიაზრებოდა როგორც მეორე ენის წერითი კომპონენტის სწავლების საბოლოო მიზანი. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში კი გრამატიკა განიხილება, როგორც დამხმარე საშუალება წერის ტექნიკის ათვისების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ მეორე ენის შემსწავლელები ინტენსიურად იყენებდნენ სტრუქტურულ მიდგომებს, ამ თეორიას ჰქონდა თავისი ხარვეზები. სტრუქტურული მიდგომის ერთ-ერთ სუსტ მხარედ მკვლევრები მიიჩნევდნენ იმას, რომ ფორმალური ნიმუშები ხშირად წარმოადგენდა მოკლე წერილობით ფრაგმენტებს, რომლებიც ძირითადად გამზადებულ მასალას უფრო ეფუძნებოდა, ვიდრე მოცემული ტექსტის ანალიზს. ეს, ბუნებრივია, აფერხებდა სტუდენტების წერითი უნარების განვითარებას, რადგან

ისინი შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ რამდენიმე წინადადების შექმნით, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლიდა ჩარჩოებში მოქცეულ შემსწავლელებს სხვა ტიპის წერილობითი ნაშრომის ეფექტურად შექმნაში. ნათელია, რომ მხოლოდ სინტაქსური და გრამატიკული წესების ერთობლიობა და მათი ზედმიწევნითი ცოდნა არ არის წერითი უნარების განვითარების ეფექტური სტრატეგია და არც კარგი წერილობითი ნამუშევრის შეფასების საშუალებას წარმოადგენს.

წინა საუკუნის ოთხმოციან წლებში გავრცელდა წერის კომპონენტის სწავლების განსხვავებული მიდგომა, რომელიც წერას, როგორც ერთ მთლიანად პროცესს მოიაზრებდა, ამიტომ მას პროცესზე ორიენტირებული მიდგომა ეწოდა. ამ მიდგომის მიხედვით, წერილობითი ტექსტის შექმნა არის უფრო რეკურსიული, ვიდრე სწორხაზოვანი აქტივობა, რომლის დროსაც დაგეგმვა, იდეების ფორმულირება და გადაკითხვა / რედაქტირება მიმდინარეობს უშუალოდ წერის პროცესში (მაცუდა 2003). დაკვირვების შედეგად გაირკვა ასევე, რომ ახალბედა ავტორი, წერაში გამოცდილი ავტორისაგან განსხვავებით, შედარებით ნაკლებ დროს უთმობს დაგეგმვას, ხოლო რედაქტირების ნაცვლად, ისინი შემოიფარგლებიან


მხოლოდ კორექტირებით, გრამატიკული და სინტაქსური შეცდომების გასწორებით. ამ სერიოზული ხარვეზის გათვალისწინების საფუძველზე პროცესზე ორიენტირებული მიდგომა გულისხმობს წერის მოსამზადებელი აქტივობების მთელ რიგს, კერძოდ, ჯგუფურ მუშაობას, გონებრივი იერიშის სტრატეგიას, შავი ნაწერის რამდენიმე ვარიანტის შექმნას, ნაწერის ჯგუფურ რედაქტირებას, მასწავლებლის შენიშვნების გათვალისწინებას (სტორჩი, 2013, 22).

საკითხზე მსჯელობისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ მეორე ენის სწავლების სოციოკულტურულ თეორიაზე, რომელიც გვამძევს ენის შესწავლის სოციოკოგნიტურ ხედვას და რომლის მიხედვითაც ენის შესწავლას კოგნიტური და სოციალური განზომილებები. ადამიანი არის სოციალური არსება და მთელი მისი კოგნიტური განვითარება ჩართულია სოციალურ ინტეგრაციაში, ამდენად, აღნიშნული თეორიის მიხედვით, სწავლის პროცესისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ვერბალურ ინტერაქციას (სტორჩი, 2013, 13). სოციალურ-კულტურული ფაქტორები პირდაპირ აისახება და გავლენას ახდენს ორ ადამიანს შორის ინტერაქციის ჩამოყალიბებასა და შინაარსზე (ჰუ, 2009, 55). ადამიანის ქცევა არის კომპლექსური პროცესი და მისი თითოეული აქტივობა

შეპირობებულია სოციოკულტურული პირობებით, მონაწილეთა სოციოკულტურული ისტორიითა და მიღწევებით (ლანტოლფი, 2004, 83). სოციოკულტურული თეორია ხელს უწყობს სათანადო მეთოდების გამოყენების პრობლემის გადაწყვეტას. ამ თეორიის მიხედვით, პიროვნების წერილობითი ენის განვითარება სიტუაციურადაა დამოკიდებული სათანადო სოციალურ, ისტორიულ და კულტურულ პირობებზე (ზეპროსკი, 1994). სოციოკულტურული თეორიის მიხედვით, სოციალური ინტერაქცია ინდივიდუალური შემსწავლელის კოგნიტურ უნარებს წინ უძღვის და სტიმულირებას ახდენს. ზეპირი მეტყველება მედიატორია, წამყვანი ძალა, რომელიც გარდაქმნის ახალგაზრდა შემსწავლელის ინტერპერსონალური კომუნიკაციის სოციალურ სამყაროს აზრების შიდა ინტრაპერსონალურ სამყაროდ და განავითარებს უფრო მაღალ კოგნიტურ პროცესებს. ეს რთული კოგნიტური პროცესი კი სრულდება შიდა მეტყველებით (ხანდახან ამას ვერბალურ აზრებსაც უწოდებენ), რომელსაც შემსწავლელი იყენებს როგორც თვითრეგულაციისა და სახელმძღვანელო საშუალებას, როცა რთული კოგნიტური პრობლემის გადაჭრის პირისპირ აღმოჩნდება ხოლმე. წერა არის ერთ-ერთი

ასეთი რთული კოგნიტური ოპერაცია, ხოლო შიდა მეტყველება არის მისი განვითარების ინსტრუმენტი. ამ თეორიის მიმდევრები იყენებენ ტერმინს წერილობითი მეტყველება შემსწავლელის წერის

დაწყებითი ეტაპის, პირველი მცდელობის აღსაწერად (ვაიბერგი, 2005, 100). ვაიბერგი გრაფიკულად შემდეგნაირად გამოსახავს სოციოკულტურულ ხედვას წერისა და ზეპირი კომუნიკაციის კავშირის შესახებ:



ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც ვსაუბრობთ წერის პროცესზე ორიენტირებულ სწავლებაზე, სოციალური ინტერაქცია, როგორც სწავლებისა და სწავლის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი, მხოლოდ მცირე ადგილს იკავებს ამ პროცესში და ერთვება მხოლოდ წყვილში მუშაობისას რედაქტირების დროს. ამდენად, სოციალური ინტერაქციის მნიშვნელობის გათვალისწინებით საფუძველი ჩაეყარა წერის სწავლების ახალ მიდგომას, ე. წ. კოლაბორაციულ/თანამშრომლობით წერას, რომელიც უმეტესწილად ეფუძნება და იზიარებს სოციოკულტურული თეორიის მიდგომებს.

თანამშრომლობითი წერა გულისხმობს ორი ან მეტი ავტორის ჩართულობას წერის მთლიან პროცესში მოსამზადებელი ეტაპით დაწყებული საბოლოო პროდუქტის შექმნით

დამთავრებული. აქედან გამომდინარე, თანამშრომლობითი წერა განიხილება როგორც საზიარო პროცესი, რომლის დროსაც მონაწილეებს შორის თანაბრად ნაწილდება ერთობლივი პასუხისმგებლობა ამა თუ იმ ტექსტის შექმნაზე. თანამშრომლობითი წერის დროს აუცილებელია შეთანხმების მიღწევა იმასთან დაკავშირებით, თუ რა იდეა გადმოიცემა და როგორ გამოიხატება ის. ერთობლივი მუშაობა მოიხოვს კოლაბორაციულ / თანამშრომლობით დიალოგში ჩართვის აუცილებლობას. როდესაც წამოიჭრება პრობლემა, მის გადასაჭრელად შემსწავლელები აღარ ეყრდნობიან მხოლოდ საკუთარ ლინგვისტურ რესურსებს. ისინი იყენებენ სხვათა ცოდნასაც. ერთობლივად მათ შეუძლიათ თავიანთი ლინგვისტური რესურსების გაერთიანება, ერთობლივი

პრეზენტაცია და ახალი ცოდნის ერთად შექმნა. ერთობლივი მუშაობის პროცესში ისინი წარმოადგენენ სხვადასხვა თვალსაზრისს. თუ უთანხმოება იჩენს თავს, შემსწავლელები ასაბუთებენ თავიანთ შეთავაზებულ იდეებს (სტორჩი, 2013, 17). ამას შეიძლება ეწოდოს კოგნიტური კონფლიქტი, ინტელექტუალური მოლაპარაკებისა და კოლექტიური გადაწყვეტილების მიღების პროცესი. მკვლევრები ამტკიცებენ, რომ პოზიტიურ გარემოში, სადაც ავტორები ერთმანეთის გამოწვევის დროს კომფორტულად გრძნობენ თავს, ამგვარ კონფლიქტს შეიძლება ჰქონდეს პოზიტიური ზეგავლენა. სწორედ ასეთმა კონფლიქტმა შეიძლება გამოიწვიოს იდეების გენერირება, გაცვლა, ალტერნატიული შეხედულების ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, საკუთარი იდეების ნათლად გადმოცემა და მტკიცება (იქვე, 24). ეს კი, თავის მხრივ, სტუდენტისაგან მოითხოვს ცოდნის უფრო ნათლად და თანმიმდევრულად წარმოჩენას.


კ. მულიგანმა და რ. გაროფალომ თანამშრომლობითი წერის პრინციპების გათვალისწინებით, ჩაატარეს ექსპერიმენტი, რომელშიც სტუდენტთა ოთხმა ჯგუფმა

მიიღო მონაწილეობა. გამოკითხვისა და გამოცდის შედეგად მკვლევრებმა გამოიტანეს შემდეგი დასკვნები:


1. თანამშრომლობითი წერა ხელს უწყობს სტუდენტების სოციალური უნარების განვითარებას;
2. ამცირებს სტრესს და ზოგავს დროს;
3. ამაღლებს სტუდენტების მოტივაციას;
4. წერის პროცესი ხდება შინაარზე ორიენტირებული;
5. ამაღლებს სტუდენტების გრამატიკულ და სტრუქტურულ კომპეტენციებს (მულიგანი, გრიფალო, 2011, 8).

ქვემოთ სქემატურადაა წარმოდგენილი განსხვავებები პროცესზე ორიენტირებულ წერასა და თანამშრომლობით წერას შორის, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ თანამშრომლობითი წერის პროცესში ინტერაქცია თავიდან ბოლომდე მიმდინარეობს განსხვავებით პროცესზე ორიენტირებული წერისაგან. ამ დროს ავტორები ინტერაქციას იყენებენ მხოლოდ ტექსტის რედაქტირებისა და შემოწმებისას.

პროცესზე ორიენტირებული წერა



თანამშრომლობითი წერა



მეორე ენის სწავლების სხვადასხვა თეორიის შედარებისა და დამუშავების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შემსწავლელი ჩართულობა უნდა იყენებინტერაქციაში, ამოცანები, რომლებიც გამოიყენება ამგვარი ინტერაქციის დროს, უნდა იყოს კარგად გააზრებული, ხოლო ამგვარმა ამოცანებმა უნდა წახალისოს შემსწავლელი, რათა ყურადღება გაამახვილოს ფორმაზე. შეიძლება ითქვას, რომ თანამშრომლობითი წერა ეფუძნება აღნიშნულ სამივე პრინციპს (სტორჩი, 2013, 25). გარდა ამისა, წერის პროცესში სწორედ ინტერაქცია, მსჯელობა, მოლაპარაკება და იდეების გაცვლა-გამოცვლა ხდება ენობრივი

კომპეტენციის ამაღლების საფუძველი. სწორედ ამიტომ მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამგვარი წერითი აქტივობები უფრო მეტად უწყობს ხელს შემსწავლელის ენის ცოდნის ამაღლებას, ამდენად წერითი აქტივობების შესრულებას უფრო დიდი მნიშვნელობა და დატვირთვა აქვს მეორე ენის შესწავლის პროცესში, ვიდრე ლაპარაკს.

წერითი აქტივობის სახეები

წინამდებარე ნაწილში საუბარი იქნება წერით ამოცანებზე, წერითი აქტივობების სახეებსა და მათ ფუნქციებზე. ზოგადად, დარგის მკვლევრები გამოყოფენ წერითი აქტივობის რამდენიმე ტიპს:

- ინფორმატიული წერა (ბროშურის შექმნა);
- ანალიტიკური წერა (ტექსტში მოცემულ კითხვებზე ასუხის გაცემა);
- დამახსოვრებაზე ორიენტირებული წერა (ჩანიშვნების გაკეთება);
- არგუმენტირებული წერა (სარეკლამო პლაკატის შექმნა);
- აფექტური წერა (დღიურების შექმნა);
- ფატიკური წერა, წერა კონტაქტის დამყარების ფუნქციით (მისალოცი ბარათის შექმნა);
- შემოქმედებითი წერა (ლექსის შექმნა).

როგორც ვხედავთ, კონკრეტული მიზნიდან გამომდინარე, წერით აქტივობას შეიძლება სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდეს, მათი გადანაწილება კი დამოკიდებულია შემსწავლელის მიზანზე, ენის ცოდნის დონესა და წერითი უნარების ფლობაზე.

წერის სხვადასხვა სახეობის პარალელურად უნდა ვისაუბროთ წერით დავალებებზე და სასწავლო პროცესში მათ დანიშნულებასა და ფუნქციაზე. ეს დეტალურად აქვს წარმოდგენილი კ. ჰილანს. იგი გამოყოფს წერითი პროცესის რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს, რომლებიც განსაზღვრავენ და განაპირობებენ ეფექტური ტექსტის შექმნას. კერძოდ, იგი ხაზს უსვამს შინაარსს (ამა თუ იმ თემასთან დაკავშირებული იდეები), სისტემას (ტექსტის შექმნისათვის მისაღები ენობრივი ფორმები), პროცესს (შავი ნაწერის შექმნა და რედაქტება), ჟანრსა (კომუნიკაციური მიზანი და რიტორიკული სტრუქტურა) და კონტექსტს (მკითხველის მოლოდინი და იმედი). მეორე მხრივ, მკვლევარი ახარისხებს წერით აქტივობებს და გვიჩვენებს, თუ რომელი აქტივობა რომელ ფაქტორს ეხმიანება და ფარავს (ჰილანდი, 2003, 114).

ტექსტის ტიპი	შინაარსი	სისტემა	პროცესი	ჟანრი	კონტექსტი
წერილობითი ტექსტიდან ინფორმაციის მიღება	✓				
უცხო სიტყვების თავმოყრა წერისათვის	✓		✓		
გონებრივი იერიში/სწრაფი წერა იდეების გენერირების მიზნით	✓		✓		
გონებრივი რუკის შექმნა წერის მოსამზადებელი ეტაპისთვის	✓		✓		
წინადადებების შედგენა მოცემული მასალების საფუძველზე		✓	✓		
მიზნისა და ტექსტის დანიშნულების გააზრება				✓	✓
მარტივი და რთული წინადადებების შედგენა		✓			


არეული ტექსტის ან წინადადებების დალაგება		✓			
სამიზნე სტრუქტურებითა და ლექსიკური ერთეულებით აზნაცში გამოტოვებული ადგილების შევსება		✓			
დაუსრულებელი ტექსტის დასრულება		✓		✓	
ავთენტური ტექსტის ანალიზი მახასიათებლებისა და ნაწილების მიხედვით				✓	
მეტაენის პრაქტიკული გამოყენება ტექსტის ნაწილების გასააზრებლად (ე. წ. მთავარი წინადადება, თტეზისი, შესავალი, გარდამავალი აზნაცი)				✓	
ტექსტის სახეობის გააზრება და პრეზენტაცია				✓	
სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისათვის და სხვადასხვა სტრუქტურის მიხედვით შექმნილი ტექსტების შედარება				✓	✓
მოცემული მოდელის მიხედვით პარალელური ტექსტების შექმნა		✓		✓	
ტექსტის შექმნა წარმოდგენილი ვიზუალური ინფორმაციის საფუძველზე		✓		✓	✓
წერის მოსამზადებელი ეტაპის შედეგების საფუძველზე შავი ნაწერის შექმნა	✓		✓		
დიალოგში მონაწილეობა	✓		✓		✓
აკადემიური წერის საფუძველებზე მუშაობა - ნარატივი, აღწერა, არგუმენტი, პროცესი...			✓	✓	

წინამდებარე ნაშრომის მიზანია მოცემული წერითი აქტივობების გადაჯგუფება პრინციპით მარტივიდან რთულისაკენ, რათა უფრო ნათელი გახდეს, თუ რომელი ტიპის დავალების ჩართვა იქნება უფრო მისაღები ენის ფლობის ამა თუ იმ ელემენტარულ და მაღალ დონეზე. აქედან

გამომდინარე, მივიღებთ წერითი აქტივობების შემდეგ თანმიმდევრობას:

- უცხო სიტყვების თავმოყრა წერითი აქტივობის განხორციელების მიზნით;
- მარტივი და რთული წინადადებების შედგენა;

- დაუსრულებელი ტექსტის დასრულება;
 - არეული ტექსტის ან წინადადებების დალაგება;
 - წინადადებების შედგენა მოცემული მასალების საფუძველზე;
 - სამიზნე სტრუქტურებითა და ლექსიკური ერთეულებით აბზაცში გამოტოვებული ადგილების შევსება;
 - გონებრივი რუკის შექმნა წერის მოსამზადებელი ეტაპისთვის;
 - მოცემული მოდელის მიხედვით პარალელური ტექსტების შექმნა;
 - წერის მოსამზადებელი ეტაპის შედგების საფუძველზე შავი ნაწერის შექმნა;
 - ტექსტის შექმნა წარმოდგენილი ვიზუალური ინფორმაციის საფუძველზე;
 - გონებრივი იერიში/სწრაფი წერა იდეების გენერირების მიზნით;
 - წერილობითი ტექსტიდან ინფორმაციის მიღება;
 - მიზნისა და ტექსტის დანიშნულების გააზრება;
 - ტექსტის სახეობის გააზრება და პრეზენტაცია;
 - ავთენტური ტექსტის ანალიზი მახასიათებლებისა და ნაწილების მიხედვით;
 - მეტაენის პრაქტიკული გამოყენება ტექსტის ნაწილების გასააზრებლად (ე. წ. მთავარი წინადადება, თტეზისი, შესავალი, გარდამავალი აბზაცი);
 - სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა აუდიტორიისათვის და სხვადასხვა სტრუქტურის მიხედვით შექმნილი ტექსტების შედარება;
 - აკადემიური წერის პრინციპების საფუძველზე მუშაობა - ნარატივი, აღწერა, არგუმენტი, პროცესი...
 - დიალოგში მონაწილეობა.
- წერის სწავლების პროცესში აუცილებელია აქტივობებისა და დავალებების გააზრებულად გამოყენება, იმის გათვალისწინება, თუ რომელ აქტივობებთან შეუძლია შემსწავლელს დამოუკიდებლად გამკლავება და რა ტიპის დავალებების შესრულება მოითხოვს პედაგოგის ინსტრუქციებსა და ფასილიტაციას. ქვემოთ წარმოდგენილი სქემა კიდევ ერთხელ გვამღევეს საშუალებას, გადავხედოთ წერის იმ სტრატეგიებს, რომლებიც გამოიყენება საწყის ეტაპზე და რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია უფრო მაღალ დონეზე, კერძოდ, თხზვისა და დამოუკიდებელი წერის დროს (შაბაშვილი, 2012, 47).

<p>წერა დახმარებით</p>  <p>დამოუკიდებელი წერა</p>	<p>გრაფოლოგია</p>	<p>წერის საბაზისო მექანიზმები (მოტორული უნარების გამომუშავება, ორთოგრაფია, პუნქტუაცია)</p>
	<p>წერის დამხმარე ეტაპი</p>	<p>მარტივი წერითი აქტივობები (შედარება, გამოტოვებული ადგილების შევსება, მახასიათებლების ამოცნობა/იდენტიფიცირება)</p> <p>მოდელის ანალიზი და მანიპულაცია (თანმიმდევრობით დალაგება, გადაკეთება, შეერთება)</p> <p>მოდელზე დაფუძნებული თხზულება (ტექსტის დასრულება და პარალელური წერა)</p> <p>თხზულების შექმნის ინსტრუქციები (მონაცემთა ტრანსფერი, ინფორმაციის ტრანსფერი)</p>
	<p>თხზვა</p>	<p>თხზულების კომპონენტები (გეგმა, წერის მოსამზადებელი ეტაპი, შავი ნაწერის შექმნა, რედაქტირების ტექნიკა)</p> <p>საკუთრივ წერის პროცესი (ტექსტის შექმნა კონკრეტული აუდიტორიისთვის რეალურ ან წარმოსახვით თემატიკაზე)</p>

როგორც ვხედავთ, წერის დამხმარე ეტაპზე უფრო რეკომენდებულია წინასწარ გააზრებულად მომზადებულ ტექსტზე მუშაობა, ტექსტთან დაკავშირებული სავარჯიშოების შესრულება, დამუშავებული ტექსტის საფუძველზე ახალი მცირე ზომის თხზულების შექმნა, მაშინ როდესაც აკადემიური წერის პრინციპების გათვალისწინება ხდება ენის შესწავლის შედარებით მაღალ დონეზე.

თეორიული კვლევებისა და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე

შეიძლება შევიმუშავოთ წერით აქტივობების ნუსხა, რომელთა ჩართვაც შესაძლებელია ენის სწავლების სხვადასხვა ეტაპზე. ერთ გაკვეთილის/ლექციის დროს შეიძლება გამოყენებული იქნას რამდენიმე სხვადასხვა ტიპის სავარჯიშო, მასწავლებელს შეუძლია მათი კომბინირება და შეთავსება იმის მიხედვით, თუ რომელი კომპეტენციის ამაღლებასა და გააქტიურებას ისახავს მიზნად. მაგალითად, სწორი ფორმების შერჩევა და სწორი ფორმების ჩასმა ორიენტირებულია გრამატიკული კომპეტენ-

ციის გაღრმავებისკენ. ენის ფლობის შედარებით დაბალ დონეზე ამგვარი სავარჯიშოების პარალელურად შეიძლება ენის შემსწავლელს შევთავაზოთ წინადადებების შექმნა, მცირე ზომის ტექსტის წაკითხვა, გააზრება და კითხვებზე პასუხის გაცემა, შემდეგ კი დიალოგის დამოუკიდებლად შექმნა. აქვე შესაძლებელია შემსწავლელს ვასწავლოთ საკუთარი მოსაზრებების გადმოცემა და შეფასების გამოხატვა. ქვემოთ წარმოვადგენთ კონკრეტული წერიტი დავალებების ტიპებსა და მათ ქვეტიპებს.

წერიტი დავალების ტიპები:

1. კარნახი:

- ფონეტიკური კარნახი;
- დიქტოგლოსი, ტექსტის კარნახი;

2. სწორი ფორმების შერჩევა:

- სწორი გრამატიკული ფორმის შერჩევა;
- სწორი ლექსიკური ერთეულების შერჩევა;
- სწორი ფრაზეოლოგიის/შესიტყვების შერჩევა;

3. ჩასმა:

- სწორი ფორმით (ბრუნვა, პირი, რიცხვი, დრო) ჩასმა;
- ენობრივი საშუალებების

ჩასმა;

- ფრაზეოლოგიზმებისა და შესიტყვებების ჩასმა;

4. დასრულება:

- წინადადების დასრულება;
- აზრის დასრულება;
- დიალოგის დასრულება;
- ტექსტის დასრულება;

5. აღწერა:

- სურათის აღწერა;
- ნივთის აღწერა;
- ოჯახის წევრების/მეგობრების აღწერა/დახასიათება;
- ცნობილი პიროვნების აღწერა;

6. შევსება:

- წინადადებაში გამოტოვებული ადგილების შევსება;
- ტექსტში გამოტოვებული ადგილების შევსება;

7. შეერთება:

- სინონიმური/ანტონიმური წყვილების შეერთება
- შესიტყვებების შეერთება
- დიალოგის ნაწილების შეერთება

8. ზედმეტი ფორმების ამოღება:

- ზედმეტი ლექსიკური ერთეულების/ფრაზების ამოღება;

- ზედმეტი და არასწორი გრამატიკული ფორმების ამოღება;
9. გადაყვანა:
- გადაყვანა პირში, რიცხვში, დროში;
10. გახაზვა:
- არასწორი ფორმების გადახაზვა, ზედმეტი ფორმების გადახაზვა;
11. გამოყოფა:
- კონკრეტული მიზნიდან გამომდინარე ტექსტში შესაბამისი ლექსიკური ერთეულების / იდიომატური გამოთქმების / შესიტყვებების გამოყოფა;
 - ტექსტში მთავარი წინადადების / არგუმენტების გამოყოფა;
 - კონკრეტული მიზნიდან გამომდინარე, ტექსტში შესაბამისი ინფორმაციის მოძიება და გამოყოფა;
12. ახსნა/განმარტება:
- ენის შემსწავლელის/შემსწავლელთა ჯგუფის მიერ წინასწარ დაგეგმილი და გაკვეთილზე განხორციელებული ქმედების ახსნა-განმარტების დაწერა;
13. დასაბუთება:
- ავტორის პოზიციის გამყარება სხვადასხვა ტიპის არგუმენტებით;
14. მოსაზრების გამოთქმა:
- ამა თუ იმ ფაქტთან, მოვლენასთან საკუთარი აზრის გამოთქმა და პოზიციის გამოხატვა;
15. მიწერა:
- შესაფერისი ფორმების, განმარტებების მიწერა;
16. სწორი თანმიმდევრობით დალაგება:
- დიალოგის ცალკეული ნაწილების სწორი თანმიმდევრობით დალაგება;
 - ტექსტის ცალკეული ნაწილების სწორი თანმიმდევრობით დალაგება;
17. შედგენა:
- მოცემული ფორმების მიხედვით წინადადების შედგენა;
 - მოცემული სურათის მიხედვით ანალიტიკური ტექსტის შედგენა;
 - მოცემული სურათის მიხედვით მოთხრობის შედგენა;
 - მოცემული სურათის მიხედვით დიალოგის შედგენა;
 - მოსმენილი მუსიკალური ნაწარმოების შეფასება და

- საკუთარი მოსაზრების წარმოდგენა;
18. კითხვებზე პასუხის გაცემა:
- მეწყვილის შეკითხვაზე წერილობითი პასუხის გაცემა;
 - ტექსტთან დაკავშირებულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა;
19. ტექსტის/დიალოგის შინაარსის დაწერა; მოკლე
20. შექმნა:
- მარტივი წინადადების შექმნა;
 - რთული წინადადების შექმნა;
 - დიალოგის შექმნა;
 - აბზაცის შექმნა;
 - ტექსტის შექმნა;
 - ოფიციალური ტექსტის შექმნა, სარეკლამო ტექსტის, ანგარიშის, განცხადების, პირადი ელექტონული წერილის შექმნა;
 - მხატვრული ტექსტის შექმნა;
 - ლექსის შექმნა;
 - კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული სიმღერისთვის ტექსტის შექმნა.;
21. წერის მოსამზადებელი ეტაპი:
- მასალის მოძიება;
 - გონებრივი იერიში;

○ გონებრივი იერიში კონკრეტულ თემაზე;

○ გონებრივი იერიშის შედეგად მიღებული იდეების დახარისხება/დაჯგუფება;

- გეგმის შედგენა.

წერიტი დავალებები მეტ-ნაკლებად წარმოდგენილია მეორე ენის ყველა სახელმძღვანელოში, თუმცა, კონკრეტული სიტუაციიდან და მიზნიდან გამომდინარე, მასწავლებელს შეუძლია მათი ადაპტაცია, გამარტივება ან, პირიქით, გაართულება. მასწავლებელს შეუძლია საკუთარი დამხმარე ან სახალისო სავარჯიშოების დამატება და ამით შემსწავლელის მოტივაციის ამაღლება. რაც შეეხება წერის სწავლების მიდგომებისა და სტრატეგიების არჩევანს, როგორც წინა თავში ვისაუბრეთ, თანამშრომლობითი წერა სწავლების ერთ-ერთი ეფექტური ფორმაა, ამდენად მასწავლებელს შეუძლია ზემოთ მოყვანილი ნუსხიდან ნებისმიერი აქტივობა ჯგუფურად შეასრულებინოს ენის შემსწავლელებს. ინდივიდუალური მუშაობა ეფექტურია გრამატიკული სავარჯიშოების შესრულებისას, თუმცა წყვილში შესრულებული დავალებების შემოწმება და გასწორება ენობრივი კომპეტენციის ამაღლების დამატებითი საშუალებაა ამ შემთხვევაში, ეს კი პროცესზე ორიენტირებული წერის ერთ-ერთ სტრატეგიას წარმოადგენს. მამასადაამე

ენის სწავლების ორივე განხილული მიდგომა - პროცესზე ორიენტირებული სწავლება და თანამშრომლობითი წერა - შეიძლება დაინერგოს სასწავლო პროცესში. მთავარია, აქტივობები წინასწარ იყოს შერჩეული, კარგად გააზრებული, კონკრეტულ სასწავლო მიზნებსა და კომპეტენციებზე ორიენტირებული. ეს კი მასწავლებლის პასუხისმგებლობასა და გამოცდილებას მოითხოვს.

კონკრეტული დავალებების ნიმუშები:

მესამე ნაწილში წარმოდგენილია ზემოთ მოყვანილი ნუსხიდან კონკრეტული დავალებების ნიმუშები, რომლებიც ეფუძნება როგორც პროცესზე ორიენტირებული, ისე თანამშრომლობითი წერის პრინციპებს. თითოეულ ნიმუშს ახლავს აღწერა, გამოსაყენებელი სტრატეგიების ჩამონათვალი და ინფორმაცია მოსალოდნელი შედეგების შესახებ.



დავალების ტიპი:

შედარება

დავალების აღწერა:

ამ დავალების შესრულება შესაძლებელია წერის დამხმარე ეტაპზე. დავალება მიზნად ისახავს ენობრივი და სტრატეგიული კომპეტენციების გააქტიურებას,

წინადადების და აზრის დონეების განმტკიცებას. დავალების შესრულება შესაძლებელია ენის სწავლების დაბალ და საშუალო საფეხურებზე. ამ აქტივობის შესრულების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა გრაფიკული გამოსახულებების, სურათების გამოყენება.

სტრატეგიები:

როგორც წესი, ამ ტიპის აქტივობას ეფექტური შედეგები მოაქვს, რადგან შემსწავლელი ერთმანეთს უზიარებენ იდეებს, ცვლიან გამოცდილებას, ერთმანეთისაგან სწავლობენ უცნობ მასალას. ამოცანის ბოლო ეტაპია ინდივიდუალური მუშაობა. მოსწავლეებმა / სტუდენტებმა ხმამაღალი მსჯელობის საფუძველზე უნდა შექმნან შედარებითი ტექსტი, რომელსაც მასწავლებელი / ინსტრუქტორი გაასწორებს და შეაფასებს. როგორც ვხედავთ, ეს არის კომპლექსური ამოცანა, რომლის განსახორციელებლადაც ჩართულია რამდენიმე კოგნიტური სტრატეგია: გააზრება, მეხსიერებიდან ინფორმაციის ამოღება / ამოტვირთვა; თარგმანი; ინფორმაციის გამოყვანის სტრატეგია; განმარტება / ვერიფიცირება.

მაგალითი:

ამ ამოცანის შესრულების დროს შესაძლებელია გამოვიყენოთ მულტიმედი-

ური და გრაფიკული საშუალებები. შესაძლებელია სტუდენტებს / მოსწავლეებს მოვასმენინოთ ერთი და იგივე მელოდია სხვადასხვა მომღერლის შესრულებით. სოციოკულტურული კომპეტენციის ამაღლების მიზნით სასურველია აუდიტორიას წარვუდგინოთ ქართული მელოდია, რომელიც შესრულებული იქნება სხვადასხვა ჟანრით (მაგალითად: ხალხური სიმღერა და მისი თანამედროვე ინტერპრეტაცია). მუსიკალური კომპოზიციების მოსმენის შემდეგ შემსწავლელთა ლინგვისტური კომპეტენციის გათვალისწინებით უნდა შევთავაზოთ მათ სათანადო ლექსიკური ერთეულები ლექსიკური მარაგის გამდიდრების მიზნით. უმჯობესია, ლექსიკონი გააზრებულად იყოს დალაგებული მეტყველების ნაწილების მიხედვით.

ზმნები: მღერის, ასრულებს, ჟღერს, ისმის, მომწონს, ვუსმენ, განსხვავდება, ჰგავს და ა. შ.

ზედსართავი სახელები: სევდიანი, მხიარული, რომანტიკული, ხალხური, ხმამაღალი, მელოდიური, ჰარმონიული, მსუბუქი და ა.შ

არსებითი სახელები: პოლიფონია, სიმღერა, მელოდია, ხმის ტემბრი, რიტმი, ჟანრი და ა. შ.

ენობრივი კლიშეები: აუცილებელია შემსწავლელებს, თუნდაც სწავლების დაბალ

საფეხურზე, შევთავაზოთ შედარებისა და დაპირისპირების კონსტრუირებისათვის საჭირო ენობრივი ფორმულები: უფრო / ვიდრე..., (ამასთან) შედარებით..., (ამისგან) განსხვავებით...,

იმ შემთხვევაში, თუ ლექსიკური მასალა გაუგებარი დარჩება შემსწავლელისთვის, შესაძლებელია მათი მშობლიური ენის გააქტიურება და თარგმნის პრინციპის გამოყენება, ლექსიკონით მუშაობა.

ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის დამუშავების შემდეგ უკვე შესწავლილი ენობრივი კლიშეებისა და სიტყვების გამოყენებით უნდა გაიმართოს ზეპირი მსჯელობა. შესაძლოა წყვილებში მუშაობაც (შაბაშვილი, 2012, 51-54).



დავლების ტიპი:

თემა - სუპერმარკეტში

დავლების აღწერა:

თემის დამუშავება რამდენიმე ეტაპისაგან შედგება და, შესაბამისად, მას რამდენიმე გაკვეთილი / ლექცია შეიძლება დავუთმოთ. აქტიურდება როგორც ენობრივი, ისე დისკურსული და სოციოკულტურული კომპეტენციები. აქტივობები ფარავს როგორც წინადადების, ისე ტექსტის დონეს.

სტრატეგიები:


სხვადასხვა დავალების შესრულებისას შესაძლებელია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება, ინდივიდუალური მუშაობა, ჯგუფური მუშაობა, გონებრივი იერიში, დაგეგმვა, თანამშრომლობითი წერის პრინციპებით ერთობლივი ტექსტის შექმნა, ჯგუფური პრეზენტაცია, გონებრივი რუკების შექმნა, გამეორება, ჯგუფური რედაქტირება, შეცდომების გასწორება.

მაგალითი:

პირველი ეტაპი - არსებული ცოდნის

გააქტიურება:

მოსწავლეებმა გონებრივი იერიშის პრინციპით, მასწავლებლის დახმარებით, დაფაზე უნდა ჩამოწერონ სუპერმარკეტთან დაკავშირებული მათთვის უკვე ნაცნობი ლექსიკა. ამ დროს შემსწავლელი იაქტიურებენ არსებულ ცოდნას და ითვისებენ ახალ მასალას სხვების ცოდნის საფუძველზე.



მეორე ეტაპი - ლექსიკური მასალის

გამდიდრება:

მასწავლებელი მოსწავლეების / სტუდენტების ენის ფლობის დონის მიხედვით აცნობს ახალ ლექსიკურ ერთეულებს,

არსებით სახელებს, ზედსართავ სახელებს, ზმნიზედებსა და ზმნებს. სასურველია ერთი ფუძისაგან დერივაციის გზით მიღებული სხვადასხვა მეტყველების ნაწილების გამოყენება და მათ მაწარმოებლებზე

ყურადღების გამახვილება. მაგალითად:
ოჯახი - საოჯახო; ტექნიკა - ტექნიკური;
ახალი - განახლებული; მრავალი
განყოფილება - მრავალგანყოფილებიანი;
კეთება - აკეთებს - გაკეთებული.

მესამე ეტაპი - ფრაზეოლოგიზმების,
შესიტყვებებისა და შეკითხვების ფორმების
მიწოდება: რა ღირს?

მეოთხე ეტაპი - წინადადების დონე:
წინადადებების შედგენა ლექსიკური
ერთეულების გამოყენებით.

მეხუთე ეტაპი - მოცემულ თემასთან
დაკავშირებით სურათის აღწერა.
ჯგუფური მუშაობა, დიალოგში
მონაწილეობა, თანამშრომლობითი წერა

მეექვსე ეტაპი - მოცემულ თემასთან
დაკავშირებით ტექსტის წაკითხვა.
ტექსტის გააზრება, შეკითხვებზე პასუხის
გაცემა წერილობითად.

მეშვიდე ეტაპი - მოცემულ ტექსტთან
დაკავშირებით კითხვების შედგენა.
თანამშრომლობითი წერა, კითხვების
შედგენა, გაცვლა და წერილობითი პასუხის
გაცემა.

მერვე ეტაპი - ნაცნობ და დამუშავებულ
ტექსტში გამოტოვებული ადგილების
შევსება.

მეცხრე ეტაპი - გრამატიკული
სავარჯიშოების შესრულება.

მეათე ეტაპი - დიალოგის წერითი სახით
შედგენა და პრეზენტაცია.
თანამშრომლობითი წერა, როლური თამაში,
ნაცნობი ლექსიკური ერთეულებისა და
ფრაზების გამოყენება.

მეთერთმეტე ეტაპი - აღწერითი ტექსტის
შექმნა.

მოცემულ თემაზე მცირე ზომის ტექსტის
დამოუკიდებლად შექმნა, მაგალითად
შემსწავლელელებმა უნდა აღწერონ საკუთარი
უბნის მაღაზია.

მეთორმეტე ეტაპი - ანალიტიკური,
მსჯელობითი ტექსტის შექმნა.

ანალიტიკური ტექსტის შექმნა თემაზე:
როგორი უნდა იყოს კარგი სუპერმარკეტი და
რატომ ფიქრობენ ასე? შემსწავლელელებმა
თითო იდეასთან დაკავშირებით უნდა
მოიყვანონ 2-3 არგუმენტი. წერისას მათ
უნდა გამოიყენონ შემდეგი ფრაზები: მე
ვფიქრობ, რომ... ჩემი აზრით... უმეტესად,
უფრო ხშირად, ძალიან მნიშვნელოვანია ის,
რომ... და ა. შ.

მეცამეტე ეტაპი: პრეზენტაცია
ჯგუფური მუშაობა, დამოუკიდებელი
სამუშაოს სახით შემსწავლელელებმა უნდა

მომაზადონ პრეზენტაცია თემაზე: სუპერმარკეტი. მათ უნდა გამოიყენონ აუდიო, ვიდეო და სხვა სახის ვიზუალური მასალა, მედიასაშუალებები და როლური თამაშის ელემენტები.



დავალების ტიპი:

თემა - ამინდი

დავალების აღწერა:

თემის დასამუშავებლად გამოყენებულია როგორც მცირე ზომის ტექსტი, ისე დიალოგი. დავალების შესრულება შესაძლებელია ენის ფლობის საშუალო დონეზე. თემის დამუშავების შედეგად შემსწავლელი აიმაღლებს როგორც გრამატიკულ, ისე დისკურსულ და სოციოკულტურულ კომპეტენციებს. იგი შეძლებს ამინდის თემასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესახებ როგორც ოფიციალური, ისე პუბლიცისტური ტექსტის შექმნას, წარმატებული ზეპირი კომუნიკაციის დამყარებას. წარმოდგენილია რამდენიმე სხვადასხვა ტიპის დავალება, კერძოდ, გრამატიკული სავარჯიშოები, ტექსტზე დაფუძნებული აქტივობები და დამოუკიდებელი ტექსტის შექმნა თანამშრომლობითი და პროცესზე ორიენტირებული წერის პრინციპების გათვალისწინებით.

სტრატეგიები:

ქვემოთ მოყვანილი დავალებების შესასრულებლად, გარდა დამოუკიდებელი მუშაობისა, შესაძლებელია ჯგუფური მუშაობის ჩართვა, გონებრივი იერიში, წყვილებში მუშაობა და რედაქტირება, შეცდომების გასწორება, გამოკითხვა და კითხვარების შევსება.

მაგალითი:

გრამატიკული სავარჯიშოები:

1. გახაზეთ სწორი ფორმა:

1. მე მიყვარს შემოდგომა/შემოდგომას.
2. ნინო/ნინოს აქვს ლამაზი ქოლგა.
3. ანის/ანი სჭირდება თბილი ტანსაცმელი.
4. ალაბეგი/ალაბეგს ეშინია წვიმაში სიარული.
5. ნუნე/ნუნეს უყვარს მეგობრებთან ერთად სეირნობა რუსთაველის გამზირზე.
6. მარიამი/მარიამს მოსწონს ეს წიგნი.
7. შენ რა/რას გიყვარს?
8. მე მჭირდება ბევრი სწავლა/სწავლას.
9. შენ გინდა ცხელი ჩაი/ჩაის?
10. დღეს ჩვენ გვაქვს ხუთი ლექცია/ლექციას.
11. მე მიყვარს მოღრუბლული ამინდი/ამინდს.
12. ჩვენ არ გვიყვარს ქარიანი ამინდი/ამინდს.

2. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

გამარჯობა, მე ----- ნინო. მე ახალციხიდან -----
-----, მაგრამ ახლა ----- თბილისში, მე აქ -----
----- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ძალიან -----
----- ჩემი ფაკულტეტი. მე ----- ბევრი ახალი
მეგობარი და ყოველდღე ----- ლექციები. აქ ცხოვრება ძალიან -----
-----, მაგრამ ძალიან ----- ჩემს სოფელში წასვლა.
უკვე შემოდგომაა და დღეს თბილისში ----- ამინდია. გარეთ ძალიან -----
----- და 13 გრადუსია. ქარი ----- და
მოღრუბლულია. წვიმს, მაგრამ მე ----- წვიმა. მე მიყვარს წვიმაში -----
----- ჩემს მეგობრებთან ერთად. მე კარგი ქოლგა მაქვს, ამიტომ არ მეშინია
წვიმიან ამინდში ----- სიარული. მე ძალიან -----
შემოდგომა. ოქტომბერი ჩემი ----- თვეა.

3. ჩასვით შესაბამისი ფორმები: აქვს, გვიყვარს, უნდათ, მოსწონთ, მიყვარს, მინდა, მომწონს, გვყავს, მაქვს, გინდა, არის, უყვართ, აქვს,

1. ამბარცუმს ----- ახალი ტელეფონი.
2. მე ----- წვიმაში სეირნობა.
3. შენ ----- კინოში წასვლა?
4. მე და ჩემს მეგობრებს ძალიან ----- კომპიუტერზე თამაში.
5. ჩემი სკოლის პირდაპირ ----- ცენტრალური მუზეუმი.
6. ჩემს სკოლას ----- დიდი სპორტული დარბაზი.
7. რუზანას და ალანის ----- ნაყინი.
8. ბავშვებს ----- მულტფილმი შრეკზე.
9. მე ----- ჩვენი ახალი სახლი.
10. ალაბეგს და გარლენს ----- ქართული ენის ლექციები.

4. გახაზეთ სწორი ფორმები:

1. ზაფხული ჩემი საყვარელი წელიწადის დროა. ზაფხულში თბილისში ყოველთვის ძალიან ცხელა/ცხელია.

2. ნინოს საუზმეზე უყვარს ცხელი/ცხელა ჩაი და კარაქიანი პური.
3. ჩემს მეგობარს ძალიან მოსწონს თბილ/თბილა ამინდში ქუჩაში სეირნობა.
4. წელს ზაფხულში ცოტა ცივია/ცივა.
5. ეს ჩაი გრილია/გრილა, მე მინდა ცხელი და მაგარი ჩაი.
6. აღაწერი მეგობრებთან ერთად ზამთარში ეგვიპტეში მიდის დასასვენებლად. ამ დროს იქ ძალიან ცხელია/ცხელა.
7. შემოდგომაზე ყოველთვის გრილი/გრილად ტანსაცმელი მაცვია.

ტექსტზე მუშაობა

წაკითხეთ ტექსტი:

გამარჯობა, მე მქვია ნინო. მე ახალციხიდან ვარ, მაგრამ ახლა ვცხოვრობ თბილისში, მე აქ ვსწავლობ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ძალიან მომწონს ჩემი ფაკულტეტი. მე მყავს ბევრი ახალი მეგობარი და ყოველდღე მაქვს ლექციები. აქ ცხოვრება ძალიან საინტერესოა, მაგრამ ძალიან მინდა ჩემს სოფელში წასვლა. უკვე შემოდგომაა და დღეს თბილისში ცუდი ამინდია. გარეთ ძალიან ცივა და 13 გრადუსია. ქარი ქრის და მოღრუბლულია. წვიმს, მაგრამ მე მომწონს წვიმა. მე მიყვარს წვიმაში სეირნობა ჩემს მეგობრებთან ერთად. მე კარგი ქოლგა მაქვს, ამიტომ არ მეშინია წვიმიან ამინდში ქუჩაში სიარული. მე ძალიან მიყვარს შემოდგომა. ოქტომბერი ჩემი საყვარელი თვეა.

➤ ლექსიკონი:

- წვიმა - წვიმიანი
- ღრუბელი - ღრუბლიანი
- მიყვარს - საყვარელი
- მზე - მზიანი
- ღრუბელი - ღრუბლიანი
- ცივი წყალი - სახლში ცივა
- ცხელი ყავა - გარეთ ცხელა
- გრილი ზაფხული - ეზოში გრილა
- თბილი ტანსაცმელი - სახლში თბილა
- ზმნები: მაქვს მყავს მქვია მომწონს მიყვარს მჭირდება
- ავტორის პოზიციის გამომხატველი ენობრივი საშუალებები: ჩემი აზრით, მე ვფიქრობ, ალბათ, სავარაუდოდ, მიმაჩნია, რომ...

➤ უპასუხეთ ტექსტთან დაკავშირებულ

შემდეგ კითხვებს:

- ვინ არის ნინო?
- სად სწავლობს ნინო?
- ნინო ყოველ დღე დადის უნივერსიტეტში?
- როგორი ამინდია გარეთ ტექსტის მიხედვით?

- რა უყვარს ნინოს?
- რომელი თვე უყვარს ნინოს და რატომ?
- სად უნდა ნინოს წასვლა და რატომ?
- თქვენ როგორი ამინდი გიყვართ და რატომ?
- როგორი ამინდია ახლა გარეთ? გაიხედეთ ფანჯარაში და აღწერეთ.

დიალოგზე მუშაობა:

➤ წაიკითხეთ დიალოგი:

- გამარჯობა, როგორ ხარ?
- კარგად, შენ როგორ ხარ? რას შვრები? სად მიდიხარ?
- მე ახლა უნივერსიტეტში მივდივარ, დღეს ბევრი ლექცია მაქვს. შენ მოდიხარ ლექციებზე?
- კი, რა თქმა უნდა. მაგრამ ცოტა ცუდ ხასიათზე ვარ, დღეს ძალიან ცუდი მინდია.
- ხო მოღრუბლულია და წვიმს. გარეთ ცივა, ამინდის პროგნოზით ახლა 15 გრადუსია. სადამოს თავსხმა წვიმა და ძლიერი ქარი იქნება. მე არ მიყვარს წვიმიანი ამინდი.
- მართლა? მე კი ძალიან მიყვარს წვიმა და წვიმაში სეირნობა ჩემი საყვარელი ქოლგით. მახსოვს შარშან ზაფხულში სოფელში ვიყავით, დიდი წვიმა იყო და მერე ცისარტყელა გამოვიდა. ბუნება ძალიან ლამაზი იყო. ძალიან მომწონს მწვანე ბალახი და წვიმის წვეთები. მე და ჩემი მეგობრები ძალიან ბედნიერები ვიყავით. ჩემი ძალღიჯი, ჯეკაც, ძალიან მხიარულად იყო. ძალიან მენატრება ჩემი სოფელი. ძალიან მინდა სახლში წასვლა.
- მეც მენატრება ჩემი ოჯახი. ჩემი პატარა ძმა უკვე ხუთი წლისაა. მასაც მოსწონს წვიმაში თამაში. ჩვენ სახლში ძველი წითელი ქოლგა გვაქვს. ჩემს ძმას ის ქოლგა ძალიან უყვარს და ხშირად თამაშობს ეზოში. ჩემი ძმა ყოველ დღე მელოდება.

➤ უპასუხეთ შემდეგ შეკითხვებს:

- ვინ არიან დიალოგის გმირები?
- სად შეხვდნენ დიალოგის გმირები ერთმანეთს?

- როგორი ამინდია გარეთ?
- როგორი ამინდი იყო შარშან დიალოგის გმირის სოფელში?
- რა ჰქვია ძალღს?

- რამდენი წლისაა დიალოგის გმირის ძმა?
- როგორი ამინდი უყვართ დიალოგის გმირებს?

➤ **შეავსეთ დიალოგში გამოტოვებული ადგილები:**

- გამარჯობა, როგორ ხარ?
- კარგად, შენ როგორ ხარ? რას შვრები? სად მიდიხარ?
- მე ახლა უნივერსიტეტში -----
- , დღეს ბევრი ლექცია -----
- , შენ მოდიხარ ლექციებზე?
- კი, რა თქმა უნდა. მაგრამ ცოტა ცუდ ხასიათზე ვარ, დღეს ძალიან ცუდი მინდია.
- ხო მოღრუბლულია და წვიმს. გარეთ -----
- , ამინდის პროგნოზით ახლა 15 გრადუსია. საღამოს -----

----- წვიმა და -----
ქარი იქნება. მე არ მიყვარს წვიმიანი ამინდი.
- მართლა? მე კი ძალიან მიყვარს წვიმა და წვიმაში ----- ჩემი საყვარელი ქოლგით. მახსოვს შარშან ზაფხულში სოფელში ვიყავით, დიდი წვიმა იყო და მერე ცისარტყელა გამოვიდა. ბუნება ძალიან ლამაზი იყო. ძალიან მომწონს მწვანე ბალახი და წვიმის წვეთები. მე და ჩემი მეგობრები ძალიან ----- ვიყავით. ჩემი ძალიან, ჯეკაც, ძალიან მხიარულად იყო. ძალიან მენატრება ჩემი სოფელი. ძალიან მინდა სახლში წასვლა.
- მეც ----- ჩემი ოჯახი. ჩემი პატარა ძმა უკვე ხუთი წლისაა. მასაც მოსწონს წვიმაში თამაში. ჩვენ სახლში ძველი წითელი ქოლგა გვაქვს. ჩემს ძმას ის ქოლგა ძალიან უყვარს და ხშირად თამაშობს ეზოში. ჩემი ძმა ყოველ დღე -----.

➤ **დაალაგეთ ტექსტი თანმიმდევრობით და გადაწერეთ:**

- ხო მოღრუბლულია და წვიმს. გარეთ ცივა, ამინდის პროგნოზით ახლა 15 გრადუსია. საღამოს თავსხმა წვიმა და ძლიერი ქარი იქნება. მე არ მიყვარს წვიმიანი ამინდი.
- გამარჯობა, როგორ ხარ?
- ჩემს ძმას ის ქოლგა ძალიან უყვარს და ხშირად თამაშობს ეზოში. ჩემი ძმა ყოველ დღე მელოდება.
- მე ახლა უნივერსიტეტში მივდივარ, დღეს ბევრი ლექცია მაქვს. შენ მოდიხარ ლექციებზე?
- მე და ჩემი მეგობრები ძალიან ბედნიერები ვიყავით. ჩემი ძალიან, ჯეკაც, ძალიან მხიარულად იყო. ძალიან მენატრება ჩემი სოფელი. ძალიან მინდა სახლში წასვლა.
- კი, რა თქმა უნდა. მაგრამ ცოტა ცუდ ხასიათზე ვარ, დღეს ძალიან ცუდი მინდია.
- მეც მენატრება ჩემი ოჯახი. ჩემი პატარა ძმა უკვე ხუთი წლისაა. მასაც მოსწონს წვიმაში თამაში. ჩვენ სახლში ძველი წითელი ქოლგა გვაქვს.

- მართლა? მე კი ძალიან მიყვარს წვიმა და წვიმაში სეირნობა ჩემი საყვარელი ქოლგით. მახსოვს შარშან ზაფხულში სოფელში ვიყავით, დიდი წვიმა იყო და მერე ცისარტყელა გამოვიდა. ბუნება ძალიან ლამაზი იყო. ძალიან მომწონს მწვანე ბალახი და წვიმის წვეთები.

- კარგად, შენ როგორ ხარ? რას შვრები? სად მიდიხარ?

➤ **ტექსტის შექმნა:**

თქვენ ერთი თვით იმყოფებით საფრანგეთში ფრანგული ენის კურსებზე. მისწერეთ ელექტრონული წერილი თქვენს მეგობარს, მოიკითხეთ და ესაუბრეთ თქვენს ქალაქში არსებული ამინდების შესახებ.

➤ **ტექსტის შექმნა:**

შექმენით მცირე ზომის ტექსტი (150-200 წიტყვა) შემდეგი ზმნების გამოყენებით: მინდა, მიყვარს, მომწონს, მაქვს, მჭირდება, მყავს, მენატრება...

➤ **ტექსტის შექმნა:**

შექმენით ტექსტი თქვენთვის საყვარელი ან მისაღები ამინდის შესახებ. პასუხი დაასაბუთეთ, მოიყვანეთ არგუმენტები, კონკრეტული მაგალითები, გამოიყენეთ თქვენთვის ნაცნობი ენობრივი საშუალებები.

➤ **ტექსტის შექმნა:**

შეადგინეთ კითხვარი ამინდთან დაკავშირებული ინფორმაციის შესახებ, მაგალითად, დამოკიდებულია თუ არა თქვენი განწყობა ამინდზე? როგორი ამინდი მოგწონთ? და ა. შ. შეავსებინეთ კითხვარები

თქვენს კლასელებს, ჯგუფელებს და შემდეგ დაწერეთ მცირე ტექსტი სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით.

➤ **ტექსტის შექმნა:**

ერთობლივად შეადგინეთ მოსალოდნელი ამინდის პროგნოზი, გამოიყენეთ ინტერნეტრესურსები და გაააქტიურეთ შესწავლილი ლექსიკური მასალა.



დავალების ტიპი:

ტექსტზე მუშაობა

დავალების აღწერა:

დავალების შესრულება შესაძლებელია ენის ფლობის საშუალო დონეზე. იმ შემთხვევაში თუ შემსწავლელს შედარებით დაბალი დონე აქვს, მასწავლებელს შეუძლია ტექსტის ადაპტირება და გამარტივება შემსწავლელის ცოდნისა და ლექსიკური მარაგის გათვალისწინებით. ტექსტი ეხება ქართულ ტრადიციულ და კულტურულ

ფენომენს, თამადის ინსტიტუტს, ამდენად მისი დამუშავება მნიშვნელოვანია შემსწავლელის კულტურული კომპეტენციის ამაღლების თვალსაზრისით.

სტრატეგიები:

თემის დამუშავებისას შესაძლებელია მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენება, კერძოდ, ჯგუფური მუშაობა, როლური თამაშები, სხვადასხვა ტექსტის შექმნა, გამოკითხვა, დამოუკიდებელი და თანამშრომლობითი წერა.

მაგალითი:

თამადა

თამადა ძველი ქართული ტრადიციით ქართული სუფრის მთავარი წევრია, ცენტრალური ფიგურაა, მეთაური და სუფრის წამყვანია. მასპინძელი ან სუფრის წევრები თამადად ირჩევენ ასაკოვან და პატივსაცემ მამაკაცს, რომელმაც კარგად იცის სუფრის წესები. ოჯახში სუფრა შეიძლება სხვადასხვა მიზნით გაიშალოს: ქორწილი, ძეობა, დღეობა, ქელები და სხვ. აქედან გამომდინარე, თამადის მოვალეობაა სადღეგრძელოების წარმოთქმა, სუფრაზე წესრიგის დამყარება, ლხინის პროცესის კონტროლი. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ადრე თამადობას ბავშვობიდანვე ასწავლიდნენ და აჩვენებდნენ. თამადა უნდა იყოს განათლებული, ენაწყლიანი, კარგი მოსაუბრე, მომთმენი, დიპლომატი, ხალხი მას პატივს უნდა სცემდეს. თამადას სიტყვა უნდა გრძელდებოდეს მხოლოდ 3-4 წუთი. მან სადღეგრძელოები უნდა თქვას რიგის მიხედვით: პირველი სადღეგრძელოა - მადლობა ღმერთს! შემდეგ ამბობენ ოჯახის წევრების სადღეგრძელოს. აუცილებელია თამადამ წარმოთქვას წასულების, მშვიდობის, სამშობლოს, დამსწრე საზოგადოების წევრების სადღეგრძელოები. ქართული სუფრა ურთიერთობის საუკეთესო საშუალებაა. თამადა ამას უნდა უწყობდეს ხელს.

პირველი ეტაპი: ტექსტზე მუშაობა
ლექსიკა:
მოვალეობა, ასაკოვანი, ენაწყლიანი,
აჩვენებდნენ...

ფრაზეოლოგია:
ხელის შეწყობა, სუფრის გაშლა,
სადღეგრძელოს წარმოთქმა, წესრიგის
დამყარება, დამსწრე საზოგადოება...

მეორე ეტაპი: ტექსტთან დაკავშირებული
შეკითხვები

- რა არის თამადის მთავარი ფუნქცია?
- რა თვისებები უნდა ჰქონდეს თამადას?
- ტექსტის მიხედვით, ქართულ სუფრაზე მიღებულია თუ არა გრძელი და ხანგრძლივი სადღეგრძელოების წარმოთქმა?
- რამდენ ხანს უნდა გრძელდებოდეს სადღეგრძელო?
- როგორია ქართულ სუფრაზე სადღეგრძელოების წარმოთქმის რიგი, თანმიმდევრობა?
- ქართულ სუფრაზე ვის ირჩევდნენ თამადად და რატომ?

მესამე ეტაპი: ტექსტიდან გამომდინარე
შეკითხვები

- ყოფილხართ თუ არა ქართულ სუფრაზე?
- მოგწონთ თუ არა ქართული სუფრის ტრადიცია და რატომ?
- რომელ სადღეგრძელოს იტყობით ქართულ სუფრაზე?
- რომელი სადღეგრძელო მოგწონთ და რატომ?
- თქვენი აზრით, რას უწყობს ხელს ქართული სუფრის ტრადიცია და თამადის ინსტიტუტი?

მეოთხე ეტაპი: დიალოგის შექმნა

ტექსტის დამუშავების, გააზრებისა და განხილვის შემდეგ შემსწავლელები მზად არიან მოცემულ თემაზე შექმნან საკუთარი ტექსტი. ამისთვის საუკეთესო ფორმაა დიალოგი.

მეხუთე ეტაპი: როლური თამაშები

ამ დავალების განხორციელება ხდება ჯგუფურად. ჯგუფებად დაყოფილი შემსწავლელები ტექსტში მოცემულ ინფორმაციასთან დაკავშირებით ქმნიან წარმოსახვით სოციალურ გარემოს, აგებენ სიტუაციას, ქმნიან ტექსტს, ანაწილებენ როლებს და შემდეგ ზეპირი პრეზენტაციის საშუალებით წარუდგენენ შედეგებს აუდიტორიას.

მეექვსე ეტაპი: საშინაო დავალება

მთელი რიგი აქტივობის შემდეგ აუცილებელია მიღებული ცოდნის გამყარება. ამ მიზნით სტუდენტებს ვავალებთ შექმნან ტექსტი მათი საყვარელი ეროვნული ტრადიციის შესახებ. ტექსტი უნდა მოიცავდეს კონკრეტული ტრადიციის ან ტრადიციების აღწერას, საკუთარ ემოციურ დამოკიდებულებას, განსახილველ ტრადიციასთან დაკავშირებულ კონკრეტულ პირად ისტორიას ან თავგადასავალს და ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე სხვების (ამ შემთხვევაში მეგობრების,

ოჯახის წევრების) დამოკიდებულებას. ამ დროს ავტორმა უნდა გაითვალისწინოს ტექსტის ლოგიკური წყობის პრინციპი, აზრობრივი და ლექსიკური ტავტოლოგიებისაგან თავის არიდება. შემდეგ შეხვედრაზე სტუდენტი/მოსწავლე საკუთარ ნაშრომს წარუდგენს ფართო აუდიტორიას. ზეპირი პრეზენტაციის დროს შესაძლებელია

ვიზუალური და აუდიო მასალის, როლური თამაშების გამოყენება. შესაძლებელია, შემსწავლელს წინასწარ მივაწოდოთ ენობრივი კლიშეები, მაგალითად: *მე ვფიქრობ, მე მომწონს, მე ვაფასებ, ჩემი აზრით, როგორც ამბობენ, უძველესი ტრადიციის მიხედვით* და ა.შ. (შაბაშვილი, 2012, 61-65).

დავალების ტიპი:

სურათის აღწერა

დავალების აღწერა:

წინამდებარე აქტივობა მოიცავს როგორც ვიზუალური მასალის, ამ შემთხვევაში ფოტოსურათს, აღწერას, ისე მის ანალიზს. შემსწავლელები სვამენ და პასუხობენ ანალიტიკურ შეკითხვებს, გამოთქვამენ ვარაუდებს, რაც ააქტიურებს

როგორც კოგნიტურ, ისე მეტაკოგნიტურ პროცესებს, ეს კი, როგორც ცნობილია, ენის შესწავლის ერთ-ერთი ეფექტური გზაა. ამ ტიპის დავალების გამოყენება შეიძლება როგორც ენის ფლობის დაბალ, ისე საშუალო დონეზე.



სტრატეგიები:

მასწავლებლის მითითებით შემსწავლელ-
ლებმა უნდა მიმართონ თანამშრომლობითი

წერის სტრატეგიების, შექმნან ერთობლივი
ტექსტი, გამოიყენონ ჯგუფური და
ინდივიდუალური მუშაობის ფორმები.

მაგალითი:

აღწერეთ სურათი:



პირველი ეტაპი:

ერთმანეთს დაუსვით შემდეგი

ანალიტიკური ხასიათის კითხვები:

- ვინ არის გამოსახული ფოტოზე?
- წელიწადის რომელი დროა?
- სად სეირნობენ ისინი?
- თქვენი აზრით, როგორი განწყობა აქვთ მათ?
- სად მიდიან ბაბუა და შვილიშვილი?

- თქვენი აზრით, რაზე საუბობენ ისინი?

მეორე ეტაპი:

შექმენით დამატებითი კითხვები და საპასუხოდ გადაეცით თქვენ გვერდით მჯდომს. შემდეგ შეამოწმეთ მის მიერ გაცემული პასუხები და მიუწერეთ თქვენი კომენტარები.

მესამე ეტაპი:

დაწერეთ სურათის აღწერა. გამოიყენეთ შემდეგი ფრაზები: ჩემი აზრით, მე ვფიქრობ, სურათზე ჩანს, როგორც ვხედავთ და ა. შ.

მეოთხე ეტაპი:

ჯგუფური მუშაობა: სურათის საფუძველზე ერთობლივად შექმენით მცირე ზომის მოთხრობა. მოთხრობას დაურთეთ საილუსტრაციო მასალა.



დავალების ტიპი:

სურათის აღწერა

დავალების აღწერა:

ზემოთ განხილული დავალების მსგავსად, ეს აქტივობაც ისახავს მიზნად ფოტოსურათს აღწერას. ოღონდ ამ შემთხვევაში უფრო მეტად აქტიურდება სოციოკულტურული კომპეტენცია, ვინაიდან ფოტოსურათზე გამოსახულია ძველი თბილისი და მასწავლებელს შეუძლია არაერთი ისტორიული და ცნობილი ფაქტის, ასევე ტრადიციის შესახებ საუბარი შემსწავლელებთან.

სტრატეგიები:

მასწავლებლის მითითებით შემსწავლელებმა უნდა მიმართონ თანამშრომლობითი წერის სტრატეგიებს, შექმნან ერთობლივი ტექსტი, გამოიყენონ ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის ფორმები.

მაგალითი:

დააკვირდით სურათს და მის აღსაწერად ჩამოწერეთ ხუთი არსებითი სახელი, ხუთი ზედსართავი სახელი და ხუთი ზმნა.

წაკითხეთ თქვენ გვერდით მჯდომის ჩამონათვალი, გამოყავით საერთო და განსხვავებული ფორმები, იმსჯელეთ რატომ შეარჩიეთ ისინი, ხოლო შემდეგ ერთობლივად შექმენით მცირე ზომის ტექსტი (150-200 სიტყვა). ბოლოს კი ტექსტი წაკითხეთ ხმამაღლა აუდიტორიის წინაშე.

დავალების ტიპი:

სწრაფი/თავისუფალი წერა

დავალების აღწერა:

წერის დამხმარე ეტაპზე შეიძლება ეფექტურად გამოვიყენოთ ასევე სწრაფი წერის ან თავისუფალი წერის სტრატეგია, რომლის ძირითადი პრინციპია: იფიქრე, დაუკავშირე, გაუზიარე (პერცვილდ-პიპკინი, 2011). დამწყებ ავტორებს ნებისმიერ თემაზე უნდა მივცეთ დაფიქრების დრო, მეწყვილესთან მსჯელობის საშუალება, რის შემდეგაც თითოეული მათგანი 5 წუთის განმავლობაში შეუჩერებლად უნდა ქმნიდეს ტექსტს. ამ შემთხვევაში ყურადღებას არ ვაქცევთ გრამატიკულ შეცდომებს, აზრობრივ ტავტოლოგიებს. მიღებულ ნამუშევარს სტუდენტები ერთმანეთში განიხილავენ, საბოლოოდ კი წარადგენენ ფართო აუდიტორიის წინაშე.

სტრატეგიები:

ასეთი ტიპის წერითი აქტივობების შესრულებისას შემსწავლელი იყენებს ინფორმაციის ორგანიზების, გააზრებისა და ნაწერის გადახედვის კოგნიტურ და მონიტორინგის მეტაკოგნიტურ სტრატეგიებს, რაც მას ეხმარება წერის პროცესის დახვეწასა და შედარებით მაღალ საფეხურზე გადასვლაში. სტუდენტები საკუთარი და მეწყვილეს ნამუშევრების მეშვეობით თვალს ადევნებენ წერის პროცესს, იაზრებენ სუსტ და ძლიერ მხარეებს, რომლებსაც, შეძლებისდაგვარად, გაითვალისწინებენ წერის შემდგომ ეტაპზე.



დავალების ტიპი:

კითხვარის შევსება

დავალების აღწერა:

წარმატებული წერითი პროცესის ორგანიზებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფეხურია იდეების გენერაცია და

მათი თანმიმდევრულად გადმოცემა. ცხრილის სახით მოყვანილ სავარჯიშოში მოსწავლემ/სტუდენტმა პასუხი უნდა გასცეს წარმოდგენილ შეკითხვებს, მოიყვანოს

სათანადო მაგალითები, გამოიყენოს წინასწარ მიცემული საკვანძო სიტყვები და გამოთქმები. ამგვარად დამწყები ავტორი ეჩვევა დეკლარაციული და პირობითი ცოდნის ლოგიკური თანმიმდევრობით და არგუმენტირებულად გადმოცემას. თემა, ბუნებრივია, უნდა იყოს მათი ენის ფლობის დონისა და ინტერესების შესაფერისი. აგრეთვე, სასურველია, ემსახუროდეს მათი სოციოკულტურული კომპეტენციის ამაღლებას.

დასკვნა:

ნაშრომის ბოლოს, კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წერითი კომპეტენციის ათვისება და წერის სწავლება ერთ-ერთი რთული ამოცანაა, რომელიც დგას როგორც შემსწავლელის, ისე პედაგოგის წინაშე. როგორც დავინახეთ, წერით აქტივობები ძალიან მრავალფეროვანი შეიძლება იყოს და განსხვავებულ მიზნებსაც შეიძლება ისახავდეს. მეორე მხრივ, წერის სწავლების რამდენიმე განსხვავებული მიდგომა არასებობს, რომელთაგანაც ნაშრომში ყურადღება გამახვილდა პროცესზე

ორიენტირებულ და თანამშრომლობით წერაზე. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია შემსწავლელის ენის ფლობის დონე და, შესაბამისად, წერის სწავლების ეტაპები, კერძოდ დამხმარე და დამოუკიდებელი წერა. ამავე დროს, წინასწარ უნდა გავითვალისწინოთ მოსალოდნელი შედეგები და ყურადღება გავამახვილოთ გრამატიკული, დისკურსული და სოციოკულტურული კომპეტენციების ამაღლებისა და ხელშეწყობის აუცილებლობაზე. საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ მხოლოდ ამ ოთხი მნიშვნელოვანი ფაქტორის გაერთიანება, კომბინაცია და შეთავსება გახდება წარმატებული წერითი პროცესის საფუძველი, ამდენად პედაგოგმა უნდა გაითვალისწინოს თითოეული მათგანის ფუნქცია და დანიშნულება. მასწავლებელმა წინასწარ უნდა დაგეგმოს სასწავლო პროცესი, კარგად გაიაზროს და მხედველობაში მიიღოს, თუ რომელი აქტივობა და ფაქტორი ეთანხმება ერთმანეთს და რა შედეგზე გაიყვანს თითოეული მათგანი ენის შემსწავლელს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ვაიბერგი, 2005 - მეორე ენის წერის პროცესის კვლევა, რედაქტორები, პაულ მაცუდა და ტონი სილვა, ლოურენს ელბრაუმის ასოციაციის გამომცემლობა, ნიუ ჯერსი, 2005
- ლანტოლფი, 2004 - სოციოკულტურული თეორია და მეორე ენის სწავლა, რედაქტორი ჯეიმს ლანტოლფი, ოქსფორდი, ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004
- მაცუდა 2003 – Process and post-process: A discursive history. *Journal of Second Language Writing*, 12, კრისტოფერ მულიგანი, რუსელ გაროფალო, თანამშრომლობითი წერის მიდგომა: მეთოდოლოგია და სტუდენტთა შეფასებები, ენის მასწავლებელი, 5, ივნისი, 2011, www.jalt-publications.org/files/pdf-article/art1_13.pdf, ნანახია 5/13/2015
- სტორჩი, 2013 – ნ. სტორჩი, თანამშრომლობითი წერა, მულტილინგვური საკითხები, ბრისტოლი, ბუფალო, ტორონტო, 2013
- შაბაშვილი, 2012 - გიული შაბაშვილი, მეორე ენა - წერა, პრობლემები, მიდგომები, სტრატეგიები, თბილისი, 2012, გამომცემლობა „გრაფემა“
- ჰეცვილდ-ჰიპკინი, 2011 – Nancy Herzfeld-Pipkin, with Janet Gokay, *Destinations 1, Writing and Grammar for Academic Success, Instructor’s Manual*, Heinle, Cengage Learning, 2011.
- ჰილანდი, 2003 - *Ken Hyland*, *Second Language Writing*, 2003, City University of Hong Kong, Cambridge University Press
- ჰუ, 2009, ლევ ვიგოსკის სოციოკულტურული თეორია და ჩინური ენის სწავლება, NUCB JLCC, 11 (1), 2009, www.nucba.ac.jp/themes/s_cic